

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

გორის, ამბროლაურის, მცხეთის, ოზურგეთის, თელავის,
ახალციხისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-10 მუხლის მე-8 და მე-12 პუნქტების და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 209-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად „გორის, ამბროლაურის, მცხეთის, ოზურგეთის, თელავის, ახალციხისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების შექმნასთან დაკავშირებით წინადადების საქართველოს პარლამენტში წარდგინების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 ივნისის № 1060 განკარგულებით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის წარდგინების საფუძველზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. თვითმმართველი ქალაქი გორი და გორის მუნიციპალიტეტი გაერთიანდეს ერთ თვითმმართველ ერთეულად - გორის მუნიციპალიტეტად და მის ადმინისტრაციულ ცენტრად განისაზღვროს ქალაქი გორი.
2. თვითმმართველი ქალაქი ამბროლაური ამბროლაურის მუნიციპალიტეტი გაერთიანდეს ერთ თვითმმართველ ერთეულად - ამბროლაურის მუნიციპალიტეტად და მის ადმინისტრაციულ ცენტრად განისაზღვროს ქალაქი ამბროლაური.
3. თვითმმართველი ქალაქი მცხეთა და მცხეთის მუნიციპალიტეტი გაერთიანდეს ერთ თვითმმართველ ერთეულად - მცხეთის მუნიციპალიტეტად და მის ადმინისტრაციულ ცენტრად განისაზღვროს ქალაქი მცხეთა.
4. თვითმმართველი ქალაქი ოზურგეთი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტი გაერთიანდეს ერთ თვითმმართველ ერთეულად - ოზურგეთის მუნიციპალიტეტად და მის ადმინისტრაციულ ცენტრად განისაზღვროს ქალაქი ოზურგეთი.
5. თვითმმართველი ქალაქი თელავი და თელავის მუნიციპალიტეტი გაერთიანდეს ერთ თვითმმართველ ერთეულად - თელავის მუნიციპალიტეტად და მის ადმინისტრაციულ ცენტრად განისაზღვროს ქალაქი თელავი.
6. თვითმმართველი ქალაქი ახალციხე და ახალციხის მუნიციპალიტეტი გაერთიანდეს ერთ თვითმმართველ ერთეულად - ახალციხის მუნიციპალიტეტად და მის ადმინისტრაციულ ცენტრად განისაზღვროს ქალაქი ახალციხე.
7. თვითმმართველი ქალაქი ზუგდიდი და ზუგდიდის მუნიციპალიტეტი გაერთიანდეს ერთ თვითმმართველ ერთეულად - ზუგდიდის მუნიციპალიტეტად და მის ადმინისტრაციულ ცენტრად განისაზღვროს ქალაქი ზუგდიდი.

As: ჩ. გ. ჭავჭავაძე

8. ახალშექმნილი მუნიციპალიტეტების – გორის, ამბროლაურის, მცხეთის, ოზურგეთის, თელავის, ახალციხისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების საზღვრები ემთხვევა შესაბამისად გორის, ამბროლაურის, მცხეთის, ოზურგეთის, თელავის, ახალციხისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების არსებულ საზღვრებს, შესაბამისი დასახლებების – ქალაქების – გორის, ამბროლაურის, მცხეთის, ოზურგეთის, თელავის, ახალციხისა და ზუგდიდის არსებული საზღვრების დამატებით და განისაზღვრება თანდართული სქემატური რუკების (დანართები №1–№7) თანახმად.

9. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების დანიშვნის დღეს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

ირაკლი კობახიძე

